პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 მაისი, შაბათი, 1985 წ.
№ 93 (9804) ფასი 2 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბჭოთა კავშირის პირველობა ტყვიის სროლაში

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, ახლახან ეშერაში მსროლელთა საკავშირო პირველობა გაიმართა. პირად შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა ვლადიმერ სამოილენკომ. არმიელმა სპორტსმენებმა მშ-9 ვარჯიშში 600 შესაძლებლიდან 599 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი მოიპოვა. გთავაზობთ ინტერვიუს გამარჯვებულთან.



ვლადიმერ სამოილენკო

ტყვიის სროლა (მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლა — მშ-9)
დაიბადა 1956 წლის 2 ოქტომბერს თბილისში.
სიმაღლე 178 სმ, წონა 68 კგ.
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.
ვადიანი სამსახურის ზემდეგი, არმიის სპორტკლუბის წევრი.
ვარჯიში დაიწყო 1973 წელს ნინა ერმიშიანის ხელმძღვანელობით.
ამჟამად მისი მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ სკრინიკოვი.
არის საბჭოთა კავშირის 1981 წლის და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. წლევანდელ საკავშირო პირველობაში დაიკავა I ადგილი საუკეთესო შედეგით: 599 ქულა 600 შესაძლებლიდან.

ნაკრებში მინდა დავბრუნდე

● თუ არ ვცდები, ეს წარმატება თქვენთვის პირველი არ არის...

— 1981 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოვიპოვე. მაშინ ქვეყნის ნაკრებშიც ვირიცხებოდი.

● შემდეგ რა მოხდა, რატომ დატოვეთ ნაკრები?

— საქმე ისაა, რომ მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენები მუდამ მოიკოჭლებდნენ — როგორც ევროპის ჩემპიონატებში, ისე მსოფლიო პირველობებსა თუ ოლიმპიურ თამაშებში. მოსკოვის ოლიმპიადაზე მარცხის შემდეგ მთელი ჩვენი ჯგუფი, ნაკრების კანდიდატთა ჯგუფი დაშალეს და ყველა, მათ შორის მეც შინ გამოგვისტუმრეს.

● ერთი სიტყვით, მთელი ოთხი წლის მანძილზე ქვეყნის მთავარ გუნდს მშ-9 ვარჯიშში მოასპარეზე არავინ ჰყოლია.

— სწორედ ასეა. ახლა კი საკავშირო სპორტკომიტეტში გადაწყვიტეს სერიოზულად მოჰკიდონ ხელი სროლის ამ დისციპლინას. ნაკრებსაც ხელახლა აღგენენ.

● ამ ამბავსა და თქვენს ბოლო წარმატებას შორის ალბათ იქნება კავშირი?

— რა თქმა უნდა. ძალიან მინდოდა საკავშირო ნაკრებში ადგილი დამებრუნებინა და კარგადაც ვემზადებოდი.

იხ. მე-2 გვ.

„თანამედროვე პირობებში, როცა სულ უფრო სრულად ვლინდება ჩვენი სოციალისტური წყობილების აღმშენებლობითი ძალები, საბჭოთა ცხოვრების წესის უპირატესობა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომუნისტური მორალისა და ზნეობის პრინციპების მკაცრად დაცვა, მავნე ჩვეულებებისა და გადმონაშთების, უწინარეს ყოვლისა ისეთი მახინჯი გამოვლინების დაძლევა, როგორიცაა ლოთობა, სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენება“.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

მკაცრი ბრძოლა ალკოჰოლიზმს!

ძველ რომში თურმე მონებს დაათრობდნენ და შემდეგ მათ საქციელს ბავშვებს აყურებინებდნენ. ამას პირველ ყოვლისა აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა: მოზარდში პატარაობიდანვე უნდა განმტკიცებულიყო იმის შეგნება, რომ ლოთობა გონივრული მოქმედების უნარს ართმევს ადამიანს, სასაცილოს ხდის სხვის თვალში.

მაგრამ ალკოჰოლი ჯანმრთელობის სასტიკი მტერიცაა. პლუტარქეს აქვს ნათქვამი: „არც ერთი ორგანიზმი არ არის ისეთი ძლიერი, რომ ღვინოს არ შეეძლოს მისი ვნება“. ალკოჰოლს მხოლოდ პიროვნული ვნება როდი მოაქვს, იგი სოციალური მტერია, საზოგადოებრივი ბოროტებაა, ესაა დანაშაული არა მხოლოდ საკუთარი, არამედ შთამომავლობის, შვილების ჯანმრთელობის წინაშე.

ქართველი კაცი არც ზომიერებას კარგავდა ოდესმე სმაში და, აქედან გამომდინარე, არც გონიერებას. ჩვენში ლოთობა საძრახისი, სამარცხვინო ნაკლია. და მაინც, იშვიათად როდი შევხვდებით ქუჩაში, კინოთეატრში თუ სტადიონის ტრიბუნაზე შეზარხოშებულ ახალგაზრდას, გნებავთ შუა ხნის, პატივსაცემი ასაკის კაცს, მოუთოკავი საქციელით უხერხულ მდგომარეობაში რომ აგდებს ირგვლივ მყოფთ. რა დასამალია, სპორტულ წრეებშიც შეგვიმჩნევია ზოგიერთისათვის ალკოჰოლისადმი გადამეტებული მიდრეკილება. ის კი არა, ზოგან სპორტულ ობიექტებზე ბუფეტებსა და სასადილოებშიც შეაპარებენ ხოლმე სასმელებს. ვაჭრობის მუშაკები, ცხადია, ამას სპორტული ბაზების ხელმძღვანელთა მხარდაჭერის გარეშე ვერ მოახერხებენ. არადა, განა ახსნა-განმარტება სჭირდება იმას, რომ სპორტული ბაზა და ალკოჰოლი ერთმანეთთან ყოვლად შეუთავსებელი ცნებებია?

ზოგჯერ უშუალოდ სპორტულ ბაზებზე თუ ცალკეულ ორგანიზაციებში იმართება ღრეობები შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებით, როცა რაიონებში რესპუბლიკური ასპარეზობები ტარდება, ხშირად შლიან საზეიმო სუფრას და ჩაღდება ქეიფი, რომელიც ყოველთვის როდი მთავრდება აყალ-მაყალისა და წაკინკლავების გარეშე. ცხადია, ყოვლად მოუთმენელია, როცა გუნდს, განსაკუთრებით ბავშვების გუნდს, ალკოჰოლის მოყვარული მწვრთნელი ან უფროსი დაჰყვება შეჯიბრებებზე. ყოფილა შემთხვევები, მთვრალ მწვრთნელს ვაგონისთვის ველარ მიუგნია და ბავშვებს მარტო უმოგზაურიათ. თავის დროზე მკაცრი ზომები მიიღეს ასეთი მოვლენების აღსაკვეთად და ახლა ეს ფაქტი მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ მსგავსი შემთხვევები იშვიათად, აქა-იქ მაინც გვხვდება.

...ახლახან შეჯიბრებას ვესწრებოდით. ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ ერთ-ერთ სპორტსმენს თანაგუნდელები უცნაურ მეტსახელს ეძახდნენ, რომ გავიკვირვეთ, მისმა ამხანაგებმა აგვიხსნეს: პატარები რომ ვიყავით, მწვრთნელმა ამას ხუთი მანეთი მისცა და არყის მოტანა დაავალა. ესეც წავიდა და ხუთი მანეთის კარაქი მოუტანა, არყის მაგივრად კარაქი გაუგონიაო. ასე შეარქვეს იმ დღიდან ბიჭს კარაქა. ასეთი ფაქტები დღესაც გვხვდება და თუ ახლა კონკრეტულ მაგალითებს არ ვასახელებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდა ეს წერილი ყველამ გაფრთხილებად მიიღოს. ამის შემდეგ კი ნებისმიერ მსგავს შემთხვევას გამოვიტანთ მკითხველთა სამსჯავროზე.

მკაცრი ბრძოლა ალკოჰოლიზმის — ამ სოციალურად საშიში ბოროტების ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ დღეს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ვალია. ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა, სპეციალისტებმა, სპორტსმენებმა, საერთოდ ჩვენმა ფიზკულტურულმა და სპორტულმა მოძრაობამ მთელი შესაძლებლობები უნდა აამოქმედონ, რათა წვლილი შეიტანონ ამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის სოციალური ამოცანის წარმატებით გადაჭრაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ვკითხულობთ: „საკავშირო პროფსაბჭო, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის სპორტკომიტეტი, სამინისტროები და უწყებები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები უფრო ეფექტიანად უნდა იყენებდნენ მოქმედ სპორტულ დარბაზებს, სტადიონებსა და სხვა ნაგებობებს, გამოჰყოფდნენ და აღჭურავდნენ მიკრორაიონებში სათავსებსა და მოედნებს გამაჯანსაღებელი და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის, ყოველნაირად ახალისებდნენ შრომითი კოლექტივების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების, მოსახლეობის ინიციატივას უმარტივესი სპორტული ნაგებობების მშენებლობაში. თანამიმდევრულად აღწევდნენ იმას, რომ ყოველ შრომითს კოლექტივს ჰქონდეს ასეთი ნაგებობა. ბეჯითად ვავრცელებდეთ საწარმოებისა და დაწესებულებების საშეფო დახმარების პრაქტიკას საცხოვრებელ მიკრორაიონებში სპორტულ-მასობრივი მუშაობის წარმოებაში“.

ამოცანა ნათლადაა გამოკვეთილი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ალკოჰოლიზმის მავნე გავლენას დავუპირისპიროთ მხნეობისა და დღეგრძელობის, ჯანმრთელობის ელექსირი — ფიზკულტურა და სპორტი.

წოდებათა მინიჭება

თამაზ ოქრუაშვილი

კალათბურთის რეზერვის აღზრდა-მომზადებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და ბავშვებთან მუშაობის ორგანიზების საქმეში დანერგილი სიახლეებისთვის რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა გამონაკლისის სახით საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა:

ლევან აკაკის ძე ჩხიკვაძეს, თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა საკალათბურთო სკოლის დირექტორს;

თამაზ ივანეს ძე ოქრუაშვილს, თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა საკალათბურთო სკოლის მწვრთნელს.

ლევან ჩხიკვაძე

სანთელ-საკმეველი მართლაც არ კარგავს გზას. სიკეთე არ იკარგება, სულ ერთია, რაში და როგორ გამოვლინდება იგი.

სხვა რა, თუ არა ქართული კალათბურთის სიკეთე შეიძლება უწოდო კაცმა ლევან ჩხიკვაძისა და თამაზ ოქრუაშვილის, ამ ორი კალათბურთზე გადაგებული ადამიანის მიერ გაღებულ დროს, ნიჭსა და ენერგიას.

რატომღაც ჯერ კიდევ ბევრს ჰგონია, რომ „ვარსკვლავები“ ციდან ცვივა. ჯერ კიდევ ბევრი მწვრთნელი დგას ცისკენ თვალებაპყრობილი და ელის — კარტოზიებს, სანეევებს, თედიაშვილებს, საკანდელიძეებსა თუ მინაშვილებს... არადა, ყველა ჭკუათამყოფელმა იცის, რომ ამაოა მათი მოლოდინი. და არა მარტო ამაო, ზიანის მომტანიც, რადგან, სამწუხაროდ, არაფრისმკეთებლებსაც უჩნდებათ ხოლმე მიმბაძველნი...

ლევან ჩხიკვაძემ და თამაზ ოქრუაშვილმა, რომ იტყვიან, ცარიელ-ტარიელ ადგილზე, ფაქტიურად თავიდან დაიწყეს ყველაფერი. ახირებული კაცის უნაყოფო ოცნებას ჰგავდა აქა-იქ, სხვადასხვა სკოლებში მოკრებილი მესამეკლასელი ბიჭებისგან კალათბურთის გუნდის შექმნა, მერე 53-ე საშუალო სკოლაში სპორტული კლასის ჩამოყალიბება და ბოლოს 58-ე საკალათბურთო სკოლის დაარსება. ახირება დაარქვით — სპორტულ კლასს კი უკვე ხუთი წლის ისტორია აქვს, „მართველს“ მთელ საბჭოთა კავშირში იცნობენ, საკალათბურთო სკოლამაც კარგა ხანია გაუღო კარი ქართული კალათბურთის მომავალს...

სპორტის მოყვარულმა უნდა იცოდეს, რომ საქართველოს სპორტკომიტეტის ბრძანებაში აღნიშნული „გამონაკლისის სახით“ ამ განსაკუთრებული დამსახურებისთვის არის დაშვებული.



ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. პატარები ყიჟინით ამხნევებდნენ თანატოლებსა და უფროსებს, რომლებიც სპორტულ ხარბიელზე სისწრაფეში, მოქნილობასა და მოხერხებულობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ამ სპორტული ზეიმის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი თბილისის ლენინის რაიონის სპორტკომიტეტი გახლდათ.

იხ. მე-2 გვ.

ნაკრებში მინდა დავბრუნდე

დასასრული

● ეშერაში თქვენ 599 ქულა მოაგროვეთ ექვსასი შესაძლებლიდან. როგორც ჩანს, აბსოლუტური შედეგი — 600 ქულაც შორს აღარ იყო.

— შორს აღარ იყო, მაგრამ 42-ე გასროლამ მიმტყუნა. საერთოდ, ასეთ შედეგს დახურულ დარბაზში უფრო მიაღწევ, სადაც გარეშე ფაქტორი — ქარი, მაგალითად, ხელს აღარ გიშლის.

● თქვენ, წოლელა მსროლელებო, თითქმის ყველა ტყვიას „ათიანში სვამთ". ის ერთი-ორი „ცხრიანი" უფრო რისი ბრალია ხოლმე?

— მიზეზი ბევრია. საათისა და 45 წუთის მანძილზე 60-ჯერ ვისვრით მიზანში. ამ ხნის განმავლობაში კაცი იღლები, ყურადღების კონცენტრაციის უნარი გიქვეითდება. როგორც გითხარით, ქარიც ცალკე გიშლის ხელს. ხან ნერვები ღალატობს. მაშინაც კი შეიძლება აღელდე, ორმოცდაათი „ათიანი" რომ გაქვს დაგროვილი და საუკეთესო შედეგამდე ხელის გაწვდენაღა რჩება.

● წოლელა სროლაში სპორტსმენს საშუალება არა აქვს მეტოქეებს თვალყური ადევნოს. მაგრამ 599 ქულის შემდეგ ალბათ გამარჯვება აღარ გეეჭვებოდათ.

— ჩემს შემდეგ, მეორე სერიაში, ძლიერი მსროლელები გამოდიოდნენ. ამიტომ საბოლოოდ გამარჯვებაში დარწმუნებული მაინც არ ვიყავი.

● კი მაგრამ, თუ საკავშირო შეჯიბრებაში ასეთ მაღალ შედეგებს აღწევთ, საერთაშორისო ასპარეზზე რაღა გიშლით ხელს?

— ჯერ ერთი, ასეთი მაღალი შედეგები არც ისე ხშირია. მაგალითად, ჩემი პირადი მიღწევა დღემდე 597 ქულა იყო. თანაც საერთაშორისო შეჯიბრებებზე ბრძოლა უფრო დაძაბულია. ისე, ყოფილა შემთხვევა, მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულს 600 ქულაც მოუგროვებია. ოლიმპიურ თამაშებზე კი საუკეთესო შედეგი 599 ქულაა.

● მშ-ჱ ვარჯიში, როგორც ეტყობა, საქართველოს მსროლელებს განსაკუთრებით ემარჯვებათ. თქვენს გარდა პირველ ათეულში ჩვენი კიდევ ორი სპორტსმენია: თბილისელი გოჩა ხარუხანოვი და სოხუმელი თემურ ქოიავა.

— ეს ძირითადად ჩვენი მწვრთნელის ვლადიმერ სკრინიკოვის დამსახურებაა. თვითონ იგი შესანიშნავი სპორტსმენი იყო და საკავშირო ნაკრებშიც ირიცხებოდა. მწვრთნელადაც კაცი უკეთესს ვერ ინატრებს. გოჩა და თემურიც ნიჭიერი ბიჭები არიან. გოჩა უკვე საკავშირო ნაკრებში მიიწვიეს.

● მცირეკალიბრიანი შაშხანის მსროლელები ხშირად პნევმატური იარაღით შეჯიბრებაშიც აღწევენ წარმატებას. თქვენ თუ გიცდიათ ამ სახეობაში ძალა?

— ცდით როგორ არ მიცდია, მაგრამ დიდ წარმატებას ვერ მივაღწიე. ამჟამად საკავშირო ნაკრებში რამდენიმე ასეთი „უნივერსალი" ირიცხება, მაგრამ, ჩემი აზრით, ჯობს მთელი ყურადღება ერთ რომელიმე სახეობას დაუთმო. ეს უფრო საიმედოა.

● თქვენ უკვე საკავშირო ნაკრების წევრი ხართ, თუ ჯერ წევრობის კანდიდატად ითვლებით?

— მსროლელი, სანამ რომელიმე ოფიციალურ შეჯიბრებაში თავისი ქვეყნის გერბიანი მაისურით გამოვიდოდეს, ნაკრების კანდიდატად ითვლება. ივნისში მოსკოვში საკავშირო პირადი ჩემპიონატი გაიმართება და ქვეყნის მთავარ გუნდსაც ალბათ მაშინ დააკომპლექტებენ. ვეცდები პრიზიორებში მოვხვდე. მაშინ, ვფიქრობ, ნაკრებში ადგილს ვერავინ შემეცილება.

ინტერვიუ აიღო
გიორგი ჩოჩიშვილმა.

ზეიმი, რომელიც დიდხანს ემახსოვრებათ პატარებს

ეს ზეიმი, რომელიც თბილისში, „შრომითი რეზერვების" სპორტულ კომპლექსში გაიმართა, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლის თავს მიეძღვნა. შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ საპატიო სტუმრები, თბილისის ლენინის რაიონში მცხოვრები ომის, შრომისა და სპორტის ვეტერანები, ისინი, რომელთაც სპორტულ სარბიელზე სახელი და დიდება მოჰქონდათ ჩვენი რესპუბლიკისთვის, ახლა კი ჯანსაღი ნორჩი თაობის აღზრდას ემსახურებიან. ზოგიერთი მათგანი უკვე დამსახურებულ პენსიაზეა, მაგრამ საზოგადო საქმეს მაინც ძველებური ერთგულებით ემსახურება.

აი, ისინიც: ჩვენი საამაყო ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე, უებრო მძლეოსანი დიმიტრი იოსელიანი, სახელგანთქმული მოჭიდავე შალვა ჩიხლაძე, მოფარიკავე ოთარ დიდებულიძე, ფალავანთა აღმზრდელი ილია ტლაშაძე, სპორტის მსახურნი: ნერსეს აკოფოვი, თევდორე სხირტლაძე და ვლადიმერ სამსონაძე.

ზეიმზე მოსულ ნორჩებს ეს ადამიანები საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებული ეწვივნენ. საპატიო სტუმრები ჟიურის შემადგენლობაში აირჩიეს.

დაიწყო ასპარეზობა. სარბიელზე ერთმანეთს ცვლიდნენ მოჭიდავეები და მშვილდოსნები, აკრობატები და ფეხბურთელები, ტყვიის მსროლელები და ტანმოვარჯიშეები, სპორტით გატაცებული ოჯახები. შეჯიბრებებს შორის შესვენებისას საპატიო სტუმრები პატარებს თავიანთ საბრძოლო ეპიზოდებზე მოუთხრობდნენ.

ბოლოს, ბორის პაიჭაძემ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ მოკავშირე რესპუბლიკების ნორჩ ფეხბურთელთა პირველობაზე გამარჯვებისთვის საჩუქრები გადასცა „სიხარულის" გუნდის წევრებს, II საქალაქო სპარტაკიადაზე I ადგილის დაკავებისთვის ჯილდოები დაიმსახურეს აგრეთვე თ. ლაკიას სახელობის სპორტული კლუბის ნორჩმა ფეხბურთელებმა.

ეს დღე დიდხანს, ძალიან დიდხანს ემახსოვრებათ ზეიმის ნორჩ მონაწილეებს. აკი ზეიმის დევიზიც ეს იყო: „არავინ და არაფერია დავიწყებული".

ავთანდილ გურასაშვილი.

ავტორის ფოტო.

კონსულტაცია

ახალი ამბები ძველ ნაცნობებზე

ბოსტნეულის სარგებლიანობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. იგი დიდ შემწეობას უწევს ჯანმრთელსაც და არაჯანმრთელსაც. ამ სიკეთეს გრძნობენ სპორტსმენებიც, რომელთაც, ისევე როგორც თითოეულ ჩვენგანს, მუდამ სჭირდებათ ბოსტნეული საკვებადაც და სამკურნალო თვალსაზრისითაც. ამიტომაც ვცანით საჭიროდ გვეთარგმნა და დაგვებეჭდა წერილი, რომელიც საკავშირო ჟურნალ „ფიზკულტურა ი ზდოროვიეში" იყო გამოქვეყნებული.

რაც დრო გადის, კულინარები და მედიცინის მუშაკები სულ უფრო მეტი ყურადღებით ეკიდებიან კვების გამაჯანსაღებელ მხარეს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბოსტნეულსა და ხილს, რადგან მათი კალორიულობა შედარებით ნაკლებია, ორგანიზმისთვის სასარგებლო ნივთიერებებს კი, პირველ ყოვლისა ვიტამინებსა და მიკროელემენტებს, უხვად შეიცავენ.

მაგალითად, ექიმები მეტად სასარგებლოდ თვლიან უმ ჭარხალსა და მის წვენს. განსაკუთრებით ეფექტურია ჭარხლის წვენი ავადმყოფობის შემდეგ ძალ-ღონის აღსადგენად. ჭარხლის, სტაფილოსა და კიტრის წვენების ნარევს იყენებენ თირკმლისა და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ.

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ კომბოსტო შესანიშნავი გარეგანი სამკურნალო საშუალებაა. გასწავლით ერთ ხერხს: აიღეთ ქსოვილის ორი ნაჭერი და გაათბეთ. დაჭერით კომბოსტო (ჯობს მწვანე, ლორთქო ფოთლები შეარჩიოთ) და ამ ნაჭრებს შუა მოათავსეთ. ეს კომპრესი მეტად სასარგებლოა ღვიძლის ჭვლის, კუჭის ტკივილის, შაკიკის, იოგების დაჭიმვის, რევმატული ტკივილების, ნევრალგიის, წელკავის, შეშუპების დროს, სახვევი უნდა დაიდოთ დილით და საღამოს. წვრილად დაჭრილი კომბოსტოს ფოთლის კომპრესი აამებს დამწვრობით ან ბზიკის ნაკბენით გამოწვეულ ტკივილებს, აჩქარებს მოშუშებას. კომბოსტოს წვენს იყენებენ ღვიძლის ციროზისა და კუჭის წყლულის სამკურნალოდ. ასეთ შემთხვევებში რეკომენდებულია რეგულარული დოზები (დღეში ნახევარ ლიტრამდე). ხველების დროს კარგია დღეში 1-2 ღვინის ჭიქა კომბოსტოს წვენი თაფლთან ერთად.

სანატორიუმებში, სადაც ღვიძლის დაავადებებს მკურნალობენ, სტაფილო ამა თუ იმ სახით ყოველთვის არის შეტანილი მენიუში. საერთოდაც, ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა ყოველდღიურად ნახევარი ჭიქა სტაფილოს წვენი (აჯობებს დილით, უზმოზე დალიოთ). იგი გვიცავს გაციებისაგან, გრიპისაგან, ბრონქიტისაგან, ახალგახეხილი სტაფილოს საფენები აამებს დამწვრობის ტკივილს. გახსოვდეთ, რომ სტაფილოს კანი მდიდარია აქტიური ინგრედიენტებით. ამიტომ, სანამ გახეხავდეთ, კანს მთლიანად ნუ მოაცლით, კარგად გარეცხეთ და დანით ოდნავ გაფხიკეთ.

ნიახური ძლიერი შარდმდენი საშუალებაა. ნახევარი ჭიქა ნიახურის წვენი, თუ ერთ ჩაის კოვზ თაფლსაც დაუმატებთ და ჭამის წინ მიირთმევთ, საგრძნობლად ამცირებს მადას. უმი ნიახური (ჭამის შემდეგ) ხელს უწყობს კუჭის მოქმედებას. იგი მჟავეების საუკეთესო ბუნებრივ ნეიტრალიზატორად ითვლება.

სტაფილოს, ნიახურისა და კიტრის წვენების ნარევი სასარგებლოა რევმატიზმის ნებისმიერი ფორმის დროს. კიტრის წვენი ფართოდ გამოიყენება კოსმეტიკური მიზნითაც. მაგალითად, თუ მეოთხედი კიტრისაგან გამოწურულ წვენს ერთ ჭიქა რძეში აურევთ, შესანიშნავ სახის გასაწმენდ სითხეს მიიღებთ.

ნიორი დიდი ხანია ცნობილია, როგორც საუკეთესო პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება, განთქმულია ანტიბიოტიკური თვისებებით. იგი შველის გაციებას, ხველებას, ბრონქიტს, ანგინას, აუმჯობესებს სუნთქვას. ძალიან სასარგებლოა ნივრიანი რძე (ერთი კბილი ნიორი მოხარშეთ ერთ ჭიქა რძეში). შეგიძლიათ ორი კბილი გახეხილი ნიორი ერთ ჩაის კოვზ თაფლში აურიოთ და ძილის წინ წამალივით მიიღოთ (ზედიზედ სამ-ოთხ საღამოს). კარაქში შემწვარი და თაფლში არეული ნიორი სასარგებლოა თირკმელებისა და ნაღვლის ბუშტის მუშაობის დარღვევისას. ნიორზე დაყენებული რძე (ან წყალი) დაბლა სწევს არტერიულ წნევას, აამებს თავის ტკივილს. ცნობილია, რომ იტალიელები ნიორს თითქმის ყველა კერძში ხმარობენ. ცნობილია ისიც, რომ ევროპის სხვა ქვეყნების მცხოვრებლებთან შედარებით. მათ ნაკლებად აწუხებთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი. ნიორი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. იგი ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად ითვლება კუჭის ინფექციებისა და ღვიძლის დისფუნქციების დროს. გარდა ამისა, ნიორი დიდი ხანია ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება მუცლის ჭიის წინააღმდეგ.

სამკურნალო თვისებები ახასიათებს პირშუშხასაც. მაგალითად, გახეხილ პირშუშხას შეგიძლიათ დაუმატოთ სხვადასხვა წვენი საჭმლის მონელების სტიმულირებისათვის. ამავე დროს, იგი შარდმდენ საშუალებადაც ითვლება.

ორგანიზმში მინერალური ბალანსის აღდგენას ძალიან უწყობს ხელს მწვანე სალათა, რომელიც უხვად შეიცავს იოდს, ფოსფორს, რკინას, სპილენძს, კობალტს, თუთიას, კალციუმს, მაგნეზიასა და კალიუმს. სალათის მწვანე ფოთლებს დამამშვიდებელი ზემოქმედების უნარი აქვს. შემოგთავაზებთ ერთ რეცეპტს: 100 გრამი სალათა (წვრილი ფოთლები) 15 წუთს ხარშეთ 600 გრამ წყალში და სვით ძილის წინ. თუ უძილობით იტანჯებით, ეს ნახარში უთუოდ შვებას გაგრძნობინებთ.

აი, კიდევ ერთი რეცეპტი: 150 გრამი ხახვი გახეხეთ, შეურიეთ 100 გრამი თაფლი, დაასხით ერთი ბოთლი ღვინო. ორი კვირის შემდეგ წამალი მზად არის. იგი უებარი წამალია სურდოს და გაციების დროს. სვით დღეში ოთხჯერ ჩაის კოვზით. უმი ხახვი შველის ჩირქგროვას, ჩირქოვან მუწუკებს. ერთი თავი ხახვი დასრისეთ და კომპრესივით დაიდეთ მტკივან ადგილზე. ერთ დღეში ანთება ჩაქრება.

კარტოფილის მთავარი მკვებავი ნივთიერებები პირდაპირ კანქვეშაა განლაგებული. ამიტომ ყველას აჯობებს ბოლქვი კარგად გარეცხოთ და მოხარშული კანიანად მიირთვათ. ზამთარში კარტოფილი დიდხანს ინარჩუნებს „ც" და „ბ" ვიტამინებს. კარტოფილის წვენი რეკომენდებულია პოდაგრის სამკურნალოდაც. შეგიძლიათ იგი სტაფილოს წვენში აურიოთ (გემოს მისცემს) და თვის განმავლობაში სვათ დღეში 3-4-ჯერ 50-50 გრამი. გახეხილი უმი კარტოფილი ამსუბუქებს ტკივილს მზით დამწვრობის დროს.

ზოგმა იცის, თავი ოდნავ წამოსტკივდება თუ არა, გამაყუჩებელ აბებს დაუწყებს ძებნას. ჩვენ მათ უფრო უვნებელ გზას ვასწავლით: ჩვეულებრივი უმი კარტოფილის ერთი თხელი ნაჭერი დაიდონ შუბლზე და ტკივილიც ხელად გაუვლით.

თარგმანი ინგლისურიდან.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„უბნის ტრადიცია — სპორტისადმი სიყვარული"

რუბრიკით — „მიმდინარეობს ერთთვიური", რომელიც ახალი სეზონისთვის სპორტული ბაზების მზადყოფნის შემოწმებას ეძღვნებოდა, ჩვენი გაზეთის 23 აპრილის ნომერში დაიბეჭდა წერილი „უბნის ტრადიცია — სპორტისადმი სიყვარული". წერილში ლაპარაკი იყო „სინათლის" სტადიონისადმი უგულისყურო დამოკიდებულებაზე.

ამ წერილთან დაკავშირებით „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ოთარ კალაძემ** გვაცნობა: „წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული საკითხის განხილვისას რესპუბლიკურმა საბჭომ პრეზიდიუმის სხდომაზე მოიწვია ქალაქის სატრანსპორტო გაერთიანების გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე რ. მეცხოვრიშვილი, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს უფროსი ჯ. გოგიჩაძე, სპორტკლუბ „სინათლისა" და სტადიონის ხელმძღვანელობა, სადაც მწვავე მსჯელობა გაიმართა სტადიონზე შექმნილი მდგომარეობისა და სპორტული სეზონისათვის მზადების საქმეში დაშვებული გულგრილობის გამო.

სპორტკლუბ „სინათლის" გამგეობის თავმჯდომარეს ზ. [illegible] და „სინათლის" სტადიონის დირექტორს ვ. ირემაძეს გამოეცხადათ საყვედური. ისინი გაფრთხილებულნი არიან, რომ მსგავსი შემთხვევის განმეორებისას მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს წინაშე დასვა საკითხი უმოკლეს ვადაში შექმნან საგანგებო შტაბი, შეადგინონ სარემონტო სამუშაოების გრაფიკი და წარმოადგინონ იგი „სპარტაკის" რესპუბლიკურ საბჭოში. თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველომ ძირითადი სამუშაო უნდა დაამთავროს მიმდინარე წლის 15 ივნისამდე. შექმნილი მდგომარეობის შესახებ ეცნობა აგრეთვე საქართველოს ავტოტრანსპორტის სამინისტროს და ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

48 საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

მოგვყავს სსრ კავშირის 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურის სტატისტიკური მონაცემები.

სკა რ. — „დინამო" (კიევი) 0:0.

დუბლიორები — 2:0.

„ზენიტი" — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:2 (0:2). სტუმრები ჯერ კიდევ პირველ ტაიმში დაწინაურდნენ (კობზევი, დოზმოროვი), ლენინგრადელებმა კი მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა (კლემენტიევი).

გააფრთხილეს ტორპედოელი ფეხბურთელები გოსტენინი, პივცოვი, აგრეთვე, ლენინგრადელები სტეპანოვი და ზოლინი.

დუბლიორები — 0:0.

„ჟალგირისი" — „დინამო" (მოსკოვი) 1:5 (1:1). გამარჯვებულთაგან 2 ბურთი გაიტანა სტუკაშოვმა, თითო — კარატაევმა, ბოროდიუკმა და გაზაევმა. ერთი ბურთი 11-მეტრიანით გაქვითა დანისევიჩიუსმა.

დუბლიორები — 1:0.

„არარატი" — „დნეპრი" 3:5 (0:2). დნეპროპეტროვსკელთა მხრივ ბურთები გაიტანეს ტარანმა (2), ლიუტიმ, პროტასოვმა და ლისენკომ (პენალტი), ხოლო მასპინძელთაგან — ქოჩარიანმა, მხითარიანმა და გალუსტიანმა (პენალტი).

გააფრთხილეს ერევნელი სარქისიანი, აგრეთვე დნეპროპეტროვსკელები ბაგმუტი და ტარანი.

დუბლიორები — 3:3.

„დინამო" (მინსკი) — „შახტიორი" 1:1 (0:0). მინსკელი გოცმანოვის მიერ გატანილი ბურთი 89-ე წუთზე გაქვითა მოროზოვმა.

გააფრთხილეს დინამოელი რუმბუტისი.

დუბლიორები — 3:1.

„სპარტაკი" — „ქაირათი" 1:1 (0:1). ანგარიში გახსნა ალმაათელმა სონმა, ხოლო საპასუხო ბურთი გაიტანა ე. კუზნეცოვმა.

გააფრთხილეს „ქაირათის" ფეხბურთელი ვოლგინი.

დუბლიორები — 4:3.

„ფაკელი" — „მეტალისტი" 2:0 (1:0). ბურთები გაიტანეს როქინმა და მურაშკინცევმა.

გააფრთხილეს „მეტალისტის" მოთამაშეები პანჩიშინი და კამარზაევი.

დუბლიორები — 0:2.

„ნეფთჩი" — „ჩერნომორეცი" 1:0 (0:0). ბურთი გაიტანა ახმედოვმა.

დუბლიორები — 3:1.

ნიკოლოზ თაყაიშვილი

თავის საწუხარზე ლაპარაკი არ უყვარდა. გულკეთილი იყო, კაცთმოყვარე, თავმდაბალი, ულალატო, უაღრესად განათლებული, სამაგალითო ინტელიგენტი...

ნიკოლოზ თაყაიშვილს მრავლად ჰყავდა თაყვანისმცემლები. ჰყავდა არა მარტო მშობლიურ თბილისში, არა მარტო მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში, არამედ ჰელსინკსა და ტამპერეში, პრაღასა და ვარშავაში, ბერლინსა და ლაიფციგში, სტოკჰოლმსა და ოსლოში — ყველგან, სადაც კი ამ უბადლო ოსტატს, ჩვენი ტანვარჯიშის ერთ-ერთ კაშკაშა ვარსკვლავს უასპარეზია.

არიან ათლეტები — ქართული სპორტის პიონერები. მათგან ცოცხალთა შორის ცოტანი დარჩნენ. ახლა მათ რიცხვს კიდევ ერთი სახელოვანი კაცი — ნიკოლოზ თაყაიშვილი გამოაკლდა...

როდესაც ნიკოლოზ თაყაიშვილზე ლაპარაკობ, ალბათ, ისიც უნდა თქვა, რომ ეს ამაგდარი სპორტსმენი, გულო რცხილაძის, პავლე რომანიშვილის, გიორგი ბაბილოძის, ლევან ყანჩაველის თანამებრძოლი, ალექსანდრე ჯორჯაძესთან ერთად, ომამდელი და ომის შემდგომი ტანვარჯიშის დამაკავშირებელი „ხიდი" იყო. საკავშირო ჩემპიონატის პირველი ოქროს მედალი ხომ მან 1939 წელს, 23 წლისამ მოიპოვა, მერე კი — უკვე ცხოვრებით დაბრძენებული — 1946 და 1948 წლებში კვლავ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ომამდე კოკა თაყაიშვილს ქვეყნის ჩემპიონატებში მეტოქეობას მოსკოველები ვლადიმერ ბელიაკოვი და აჯათ იბადულაევი უწევდნენ, ომის შემდეგ კი — კიეველები ვიქტორ ჩუკარინი და ბორის შახლინი.

ორძელისა და რგოლების მეფე იყო, თუმცა სხვა იარაღსაც დიდი ოსტატობით ფლობდა. საკუთარ თავზე ლაპარაკი არ სჩვეოდა, თუმცა, თავმოსაწონი ბევრი რამ ჰქონდა — იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ორგზის ვერცხლის მედალოსანი, საკავშირო პროფკავშირების ორგზის ჩემპიონი, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობასა და ამიერკავკასიის სპარტაკიადაში გამარჯვებული, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი...

სპორტისთვის წუთითაც არ უღალატია. ბოლომდე გასწია ჭაპანი. ხალხთა მეოთხე სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. მერე საქართველოს მოსწავლეთა გუნდს ავარჯიშებდა საკავშირო სასპარტაკიადო ტურნირისათვის, მთელი ოთხი წელიწადი ინდოეთში დაჰყო — ქალაქ პატიალაში სპორტის ეროვნულ ინსტიტუტში ტანვარჯიშის კათედრის ხელმძღვანელად მიიწვიეს. სწორედ ნიკოლოზ თაყაიშვილმა მოამზადა ინდოეთის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისათვის. უცხო ქვეყანაშიც საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ტანვარჯიშის დიდი თაყვანისმცემელი იყო — მთელი ოჯახი აზიარა ამ სახეობას. თუმცა, მარტო თავისი ოჯახი? ვინ მოთვლის, რამდენი ოსტატი, მწვრთნელი, მსაჯი აღზარდა ამ უანგარო ადამიანმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში, სადაც ტანვარჯიშის კათედრის უფროს მასწავლებლად მუშაობდა, ან კიდევ თბილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმში, ტანვარჯიშის სპორტსკოლაში, ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტსა თუ „დინამოსა" და განათლების სამინისტროს სისტემაში მუშაობის პერიოდში, რამდენ ახალგაზრდას გაუზიარა თავისი მდიდარი ცოდნა და გამოცდილება.

...თავის საწუხარსა და ტკივილს არავის გაუმხელდა, არ უყვარდა სხვისი შეწუხება.

მხოლოდ დღეს გვატკინა გული. წავიდა ჩვენგან გამოჩენილი მოქალაქე და მამულიშვილი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ქართული სპორტის ისტორიაში.

საქართველოს სპორტკომიტეტი,
ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი,
ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია.

II ლიგა

16 მაისს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების V ტურის მატჩები.

თბილისის ლოკომოტიველები შინ შეხვდნენ სტეფანაკერტის „ყარაბახს". მატჩის დასაწყისში მათ აშკარა უპირატესობა ჰქონდათ, მეტოქის ნახევარზეც ხშირად გადადიოდნენ, მაგრამ „ყარაბახის" ენერგიულად მოთამაშე მცველები მათ არ აძლევდნენ რეალური საგოლე მომენტის შექმნის საშუალებას. გარდა ამისა, თვით ლოკომოტიველებიც ზედმეტად ერთობოდნენ ინდივიდუალური თამაშით.

22-ე წუთზე „ყარაბახის" კარში 11-მეტრიანი დაინიშნა. ბურთის გატანის ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა ნუცუბიძემ: მან სუსტად დაარტყა და მეკარე პეტროსიანმა ბურთი აიღო.

ბრძოლის სურათი მინდორზე არც შესვენების შემდეგ შეცვლილა, საბოლოოდ „ლოკომოტივის" შეტევის ხაზების მოთამაშეებმა ვერც ერთხელ ვერ შეძლეს წარმატების მიღწევა — 0:0.

მასპინძელთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა მახარაძის „მერცხალისა" და აშტარაკის „ოლიმპიის" მატჩი მახარაძელთა სტადიონზე. აშტარაკელებმა მონდომებით ჩაატარეს პირველი ტაიმი და მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვეს თოფურიძის თავური დარტყმის შემდეგ. მეორე ტაიმში კი მასპინძლები თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ. მათ „ოლიმპიის" კარი კიდევ სამჯერ აიღეს და ყველა ეს გოლი იმავე თოფურიძეს ეკუთვნის. ჩვენმა მახარაძელმა კორესპონდენტმა **ვალერიან შავიშვილმა** საგანგებოდ აღნიშნა თოფურიძის შესანიშნავი თამაში.

მარცხი იწვნია საკუთარ მინდორზე სამტრედიის „ლოკომოტივმა", რომელიც ბაქოს „გიანჯლიკს" მასპინძლობდა. ჩვენი სამტრედიელი კორესპონდენტი **ანზორ ხირაძე** გვატყობინებს, რომ ბაქოელი ფეხბურთელები უდიდესი მონდომებითა და თავგანწირვით თამაშობდნენ, ზოგჯერ წესების დარღვევასაც არ ერიდებოდნენ, რათა მასპინძელთა ტექნიკური უპირატესობა გაექარწყლებინათ. პირველ წარმატებას სწორედ „გიანჯლიკმა" მიაღწია — მე-8 წუთზე ბურთი გაიტანა ალექპეროვმა. მცირე ხანს შემდეგ ანგარიში გაქვითა გერაძემ. ბრძოლა შემდგომაც დაძაბულად, შეუპოვრად მიმდინარეობდა. მისი საბოლოო შედეგი გამოირკვა მე-60 წუთზე, როცა ბაქოელთა ორმა თავდამსხმელმა რამდენიმე მოპირდაპირე მცველს შორის გაითამაშა საიერიშო კომბინაცია და გრიგორიანმა მეორე, გადამწყვეტი ბურთი გაიტანა — 2:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დინამო" (სოხუმი) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 1:0, „კოლხეთი" (ფოთი) — „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) 3:0, „მეშახტე" (ტყიბული) — „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) 3:0, „დილა" (გორი) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 2:2, „შირაკი" (ლენინაკანი) — „არაზი" (ნახიჩევანი) 2:0.

გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 18 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გიანჯლიკი"	5	3	1	1	8-3	7
„მეშახტე"	5	3	1	1	8-4	7
„დინამო"	5	3	1	1	6-2	7
„ქიაფაზი"	5	3	0	2	11-4	6
„დილა"	5	2	2	1	8-3	6
„კოლხოზჩი"	5	2	2	1	7-5	6
„კოლხეთი"	5	2	1	2	8-6	5
„მერცხალი"	5	2	1	2	6-5	5
„ყარაბახი"	5	2	1	2	4-6	5
„ლოკომოტივი" თბ	5	1	3	1	5-5	5
„ლოკომოტივი" ს.	5	2	0	3	7-7	4
„შირაკი"	5	2	0	3	6-10	4
„სპარტაკი"	5	2	0	3	2-7	4
„ავტომობილის."	5	1	2	2	3-6	4
„არაზი"	5	1	2	2	1-5	4
„ოლიმპია"	5	0	1	4	2-14	1

ზემოურელთა რევანში

ბურთი უხუცესებმა გამოიტანეს.

ტრადიციული სამაისო ლელობურთი კვლავ ეწვია ლანჩხუთს. სოფელ შუხუთში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი სპორტული მეტოქეები — ზემოურები და ქვემოურები. ბურთი, ძველებური წესის თანახმად, მოედანზე უხუცესებმა გამოიტანეს — კოსტა ორაგველიძემ და ივანე ფირცხალაიშვილმა. მერე დაიწყო ფიცხელი ბრძოლა, რომელშიც ზემოურებმა შარშანდელი დამარცხებისთვის რევანში აიღეს. ბოლო ექვსი წლის საერთო ანგარიშს თუ გავიხსენებთ, უპირატესობა ჯერჯერობით ზემოურებისკენ იხრება — 4:2.

თამაშის მომენტი.

გამარჯვებული ზემოურები.

ბრაზილიელები დამარცხდნენ

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებმა 15 მაისს ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა სტუმრად. იგი ქალაქ ბოგოტაში შეხვდა კოლუმბიის გუნდს და წააგო ანგარიშით 0:1.

ამ მატჩზე უცხოეთის პრესა ბევრს წერს. მარცხის სერიოზულ მიზეზად არავის მიაჩნია ის, რომ ბოგოტა ზღვის დონიდან 2.500 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს და იქ ჩასულ გუნდებს საერთოდ უჭირთ თამაში. ბრაზილიელები სხვა დროსაც გამოსულან ბოგოტის სტადიონზე, მაგრამ მაშინ ეს გუნდი სულ სხვა იყო, ახლა კი აშკარად სუსტად თამაშობს.

როგორც ბრაზილიელთა უფროსმა მწვრთნელმა ე. მასედომ განაცხადა, ასეთი უჩვეულო სიმაღლის გარდა, მატჩის შედეგზე იმანაც იმოქმედა, რომ მის ნაკრებში არ გამოდიოდნენ იტალიის წამყვან კლუბებში კონტრაქტით დაკავებული საუკეთესო ბრაზილიელი ფეხბურთელები, დისკვალიფიკაცია ჰქონდა ედერსაც, მაგრამ კრიტიკულად განწყობილი პრესა საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ის ბრაზილიელი ფეხბურთელები, რომლებიც იმ დღეს მინდორზე იყვნენ, ძალზე სუსტად თამაშობდნენ, მიმომხილველები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ბრაზილიის ნაკრებს გაუჭირდება თამაში სამხრეთ ამერიკის III შესარჩევ ჯგუფში, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზურს ბრაზილიელებს შეეცილებიან ბოლივიისა და პარაგვაის გუნდები. ეს ტურნირი კი სულ მალე, 26 მაისს, იწყება.

ფიფა მკაცრად აფრთხილებს

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მკაცრად გააფრთხილა ეროვნულ ფედერაციათა მესვეურები, რომ დაიცვან შეჯიბრების დებულება და ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაზე საბჭოთა კავშირში არ გამოგზავნონ ასაკს გადაცილებული მოთამაშეები. თუ ასეთი რამ გამომჟღავნდა, დამნაშავე ფედერაციებს ორი წლით ჩამოერთმევათ ფიფა-ს ეგიდით გამართულ ყველა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება, ხოლო ფედერაციების ხელმძღვანელ მოღვაწეებს სამუდამოდ აეკრძალებათ ფეხბურთში მუშაობა.

მასპინძლობს ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინი

დიადი გამარჯვების დღეს მიეძღვნა ბაკურიანში გამართული შეჯიბრება 40-მეტრიან ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინიდან ხტომაში. აქ გაიმარჯვა ჭაბუკთა ზამთრის I საკავშირო სპორტული თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა, ბაკურიანელმა იბრაგიმ გობოზოვმა — 160 ქულა (ნახტომები — ორივეჯერ 39 მეტრი). მეორე ადგილზე გავიდა ელგუჯა ორჯონიკიძე — 148 ქულა (ორივეჯერ — 37,5). მესამე შედეგი აჩვენა დავით დიაკონაშვილმა — 130,2 (35 და 36).

სამივე სპორტსმენი 17 წლისაა და სპორტსაზოგადოება „დინამოს" წევრია.

„ლელოს" კორ.

ვინც მოიგო, დაწინაურდა

წყალტუბო, 17 მაისი (ტელეფონით, „ლელოს“ საკ. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 42-ე ჩემპიონატზე V ტურის შეხვედრები გაიმართა.

წკეპლაძემ დაამარცხა ცხვედიანი, ლაგვილავამ — ბიბილაშვილი, ფახიროვამ — ფეჰლევანოვა, თანდაშვილმა — ხარლამიდი, ტერელაძემ — მუსერიძე და ხვედელიძემ — სადუნიშვილი. გადაიდო ნინუა-თუთბერიძის პარტია.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ეკატერინე ფახიროვა — 4 ქულა, ჰენრიეტა ლაგვილავა — 3 (2), ნათია წკეპლაძე (სამივე — ქუთაისი), ლელა თანდაშვილი (თბილისი) — 3-3 (1-1), სოფიკო ტერელაძე (სამტრედია) — 2,5 (1).

გამარჯვებით დაიწყეს

ვოლგოგრადი, 17 მაისი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის მოჭადრაკეთა XVII გუნდური პირველობა, რომელშიც 18 ნაკრები მონაწილეობს.

I ტურში საქართველოს მოჭადრაკეებმა დაამარცხეს სომხეთის გუნდი — 5:3. თამაზ გიორგაძემ მოუგო დიდოსტატ ლპუტიანს, ბუხუტი გურგენიძემ — დიდოსტატ ა. პეტროსიანს, ნანა ალექსანდრიამ — ხალაფიანს, ნანა იოსელიანმა — აბრამიანს. დაზავდნენ ედუარდ გუფელდი და ანასტასიანი, ზურაბ აზმაიფარაშვილი და შაბოიანი. გენადი ზაიჩიკმა წააგო მოვსესიანთან, ზურაბ სტურუამ — თავადიანთან.

დანარჩენი მატჩების შედეგები: მოსკოვი — ესტონეთი 4:4, ლენინგრადი — ყირგიზეთი 5:3, უზბეკეთი — ტაჯიკეთი 6,5:1,5, ლატვია — ლიტვა 5,5:2,5, ბელორუსია— თურქმენეთი 7,5:0,5, უკრაინა — მოლდავეთი 5:2 (1), რსფსრ — ყაზახეთი 4,5:3,5.

II ტურში საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა ლენინგრადის გუნდი— 4,5:3,5. III ტურში საქართველოსა და უზბეკეთის მოჭადრაკეთა შეხვედრა დამთავრდა ყაიმით — 4:4.

ლიდერის კვალში

ბულგარეთში მიმდინარეობს მოჭადრაკე ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თბილისელი საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა მონაწილეობს. ქართველი მოჭადრაკის მეტოქეთა შორის არიან დიდოსტატები რაინერ კნააკი (გდრ), გიორგი ტრინგოვი, ვენცისლავ ინკიოვი (ორივე — ბულგარეთი), საერთაშორისო ოსტატი ედუარდ მნაცაკანიანი (სსრ კავშირი).

6 ტურის შემდეგ კნააკს 4,5 ქულა აქვს, უბილავასა და საერთაშორისო ოსტატ სემკოვს — 3,5-3,5.

საგზური მხოლოდ ოთხია

მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის ტუნისის საზონათშორისო ტურნირი ფინიშს მიუახლოვდა. პრეტენდენტთა ტურნირის ოთხი საგზურისთვის მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს.

XIV ტურში გავრიკოვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა პორტიშთან, პორტი მოულოდნელად დამარცხდა აუტსაიდერ ერმენკოვთან.

ლიდერობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბელიავსკისა და ჩერნინის შეხვედრას, რომელიც ბელიავსკიმ იერიშით მოიგო.

XV ტურში ბელიავსკიმ კვლავ გაიმარჯვა. ამ დღეს მან აფიფი დაამარცხა. იუსუპოვი დაუზავდა დე ფირმიანს. გავრიკოვმა პარტია გადადო ზაპატასთან.

15 ტურის შემდეგ ალექსანდრე ბელიავსკის 10,5 ქულა აქვს, არტურ იუსუპოვს — 10, ალექსანდრე ჩერნინს — 9, ლაიოშ პორტიშს (უნგრეთი) — 8 (1), ვიქტორ გავრიკოვს — 7,5 (1).

კალათბურთის მერიდიანებზე

სენსაციები და კანონზომიერებანი

დამთავრდა იუგოსლავიის კალათბურთელ ვაჟთა 41-ე ჩემპიონატი, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა. ისევე როგორც შარშან, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ზაგრების „ციბონამ“ და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“.

პირველი შეხვედრა ზაგრებში გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 97:88. მეტად დაძაბული გამოდგა საპასუხო მატჩი ბელგრადში. ბრწყინვალედ ითამაშა ზაგრებელმა დრაჟენ პეტროვიჩმა, რომელმაც თავის გუნდს 42 ქულა შესძინა. მაგრამ „ციბონას“ ვერც ამან უშველა: გაიმარჯვა „ცრვენა ზვეზდამ“ — 92:89.

გადამწყვეტი შეხვედრა ისევ ზაგრებში შედგა. ამჯერად „ციბონამ“ თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა, მატჩი მოიგო ანგარიშით 119:106 და ზედიზედ მეორედ დაიკავა პირველი ადგილი იუგოსლავიის ჩემპიონატში (სულ კი მას სამჯერ აქვს მოპოვებული ქვეყნის ჩემპიონის წოდება). დრაჟენ პეტროვიჩმა ამ შეხვედრაშიც გამოიჩინა თავი — 32 ქულა დააგროვა.

საფრანგეთის ჩემპიონის სახელი ზედიზედ მესამედ მოიხვეჭა „ლიმოჟმა“, რომელსაც მთელი სეზონის მანძილზე ღირსეულ მეტოქეობას უწევდა ვილერბანის ასველი. ოქროს მედლების ბედი გადაწყდა ბოლო ტურში, როცა „ლიმოჟმა“ სძლია „მონაკოს“ — 88:81, ასველი კი „ავინიონთან“ დამარცხდა — 85:86. საბოლოოდ „ლიმოჟს“ 72 ქულა დაუგროვდა. მან 2 ქულით ჩამოიტოვა ვერცხლის პრიზიორი — ასველი. მესამე ადგილზეა „ანტიბი“ — 66 ქულა.

საინტერესოა, რომ „ლიმოჟმა“ წარმატებით იასპარეზა საფრანგეთის თასის გათამაშებაშიც. ამ ტურნირის ფინალში მან „სტად ფრანსეს“ სძლია.

სტუდენტ კალათბურთელთა ჩემპიონატი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შეჯიბრებაა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ახლახან მეტად მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ამ ქვეყნის სტუდენტთა წლევანდელი პირველობა. ვილანოვას უნივერსიტეტის გუნდისგან ფინალში გასვლასაც არავინ ელოდა, მან კი ჯერ მერილენდის უნივერსიტეტის ნაკრებს მოუგო (46:43), შემდეგ ჩრდილოეთ კაროლინის გუნდს სძლია (56:44), ხოლო ნახევარფინალში მემფისის კალათბურთელები დაამარცხა (52:45) და გადამწყვეტ მატჩში შეხვდა აშშ-ის შარშანდელ ჩემპიონს — ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ნაკრებს. ამ გუნდში ასპარეზობს აშშ-ის სტუდენტური კალათბურთის ვარსკვლავი, ოლიმპიური ჩემპიონი პატრიკ იუვინგი. მაგრამ ფინალში იგი აშკარად დაჯაბნა ვილანოველთა ცენტრის მოთამაშემ ჰაროლდ ჯენსენმა, რომლის ოსტატობამ გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი: დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 66:64 გაიმარჯვა ვილანოვას უნივერსიტეტმა.

გფრ-ის ქალაქ მანჰაიმში გაიმართა ჭაბუკ კალათბურთელთა XIII საერთაშორისო ტურნირი ალბერტ შვაიცერის პრიზზე, რომელსაც მიმომხილველები მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატსაც უწოდებენ. შეჯიბრებაში 16 ქვეყნის უძლიერესი ჭაბუკი კალათბურთელები მონაწილეობდნენ.



წინასწარი შეხვედრებისა და მეოთხედფინალურ ჯგუფებში გამართული მატჩების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. აქ იუგოსლავიელებმა დაამარცხეს შვედები — 100:91, ამერიკელებმა კი თურქებს აჯობეს — 101:66. ფინალურ შეხვედრაში აშშ-ის ნაკრებმა დამაჯერებლად სძლია იუგოსლავიის გუნდს (100:77) და ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა მანჰაიმის ტურნირში. მესამე ადგილი დაიკავეს თურქმა ჭაბუკებმა, რომლებმაც შვეციის ნაკრებს მოუგეს — 87:80.

მერაბ კალანდაძე.

პარიზი. გაიმართა რეგბისტთა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი საფრანგეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 36:21. საფრანგეთის რეგბისტებმა კონტინენტის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს. ტურნირში ჩასატარებელი დარჩა ორი მატჩი. დღეს თამაშობენ იტალიისა და ესპანეთის გუნდები, 31 მაისს კი—სსრ კავშირისა და რუმინეთის სპორტსმენები.

ინფორმაცია

ბელსკო-ბიალა. მშვიდობის 38-ე ველორბოლამ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიიდან პოლონეთში გადაინაცვლა. მეშვიდე ეტაპს სტარტი ოსტრავაში მიეცა. 186 კილომეტრის შემდეგ ველოსიპედისტებმა ფინიშის ხაზი ბელსკო-ბიალაში გადაკვეთეს. პირველი ადგილი ლეხ პიასეცკიმ დაიკავა, მეორე — ანჯეი მეჟეევსკიმ (ორივე — პოლონეთი), მესამე — უვე რააბმა (გდრ). სამივე ლიდერმა ერთნაირი დრო აჩვენა — 4:52.24. ეტაპი გდრ-ის ველოსიპედისტებმა მოიგეს — 14:37.12. საბჭოთა გუნდი მესამე იყო.

ევროპული ტურნირები ● თასების მფლობელთა თასი

„ევერტონის“ პირველი გამარჯვება

20 ათასი ლივერპულელი გულშემატკივარი ჩავიდა როტერდამში, რათა მხარი დაეჭირა თავისი საყვარელი გუნდისთვის — „ევერტონისთვის“, რომელიც თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ვენის „რაპიდს“ ხვდებოდა. „ფეიენოორდის“ 64000-ადგილიან სტადიონზე მრავლად იყვნენ ავსტრიელი ფეხბურთის მოყვარულებიც, რომლებიც საყვირებითა და საჩხარუნებლებით ცდილობდნენ ინგლისელთა ხმაშეწყობილი სიმღერის ჩახშობას.

თუ ვენელი გულშემატკივრები ზოგჯერ მაინც ახერხებდნენ ამას, მინდორზე „რაპიდის“ ფეხბურთელებმა ვერაფერი გააწყვეს „ევერტონის“ მძლავრი, განუწყვეტელი იერიშების წინააღმდეგ. მთელი პირველი ტაიმის მანძილზე „რაპიდი“ საკუთარ კარს იყო მიჯაჭვული და მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ მოახერხა „ევერტონის“ საჯარიმოსთან მიახლოება. ავსტრიელთა თამაშზე უდავოდ იმოქმედა ჩეხოსლოვაკიელი ვეტერანის, 37 წლის ანტონინ პანენკას არყოფნამ, რომელიც ერთ-ერთი ვარჯიშის დროს დაშავდა (მატჩის მიწურულს პანენკა მაინც გამოვიდა მოედანზე, მაგრამ ვეღარ უშველა თანაგუნდელებს). გარდა ამისა, „რაპიდს“ კიდევ ორი ძირითადი მოთამაშე აკლდა — კარგა ხნის წინ დაშავებული მეკარე ფოირერი და ნახევარმცველი ბრუჩიჩი, რომელმაც მოსკოვის „დინამოსთან“ ნახევარფინალურ შეხვედრაში მესამე გაფრთხილება მიიღო და ფინალში თამაშის უფლება დაკარგა.

ყოველივე ეს „ევერტონის“ სასარგებლოდ მეტყველებდა, მაგრამ საზრუნავი არც ლივერპულელებს აკლდათ. 6 მაისს, ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ დამარცხების შემდეგ მათ ვადამდე მოიპოვეს ინგლისის ჩემპიონის წოდება, 9 და 11 მაისს ეროვნული პირველობის კიდევ ორი შეხვედრა გამართეს და ზოგიერთ მიმომხილველს ეეჭვებოდა, რომ „ევერტონის“ ფეხბურთელები როტერდამის მატჩისთვისაც შეინარჩუნებდნენ ძალებს (აღნიშნული თამაშების გარდა, „ევერტონმა“ 4 მაისსაც ჩაატარა ინგლისის პირველობის კალენდარული მატჩი: ოთხი შეხვედრა ერთ კვირაში!). აღნიშნავდნენ იმასაც, რომ 18 მაისს ამ გუნდს კიდევ ერთი გამოცდა— ინგლისის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრა ელის და რომ სამ ფრონტზე ერთდროულად ბრძოლა მას კარგს არაფერს მოუტანს.

როტერდამში „ევერტონმა“ კიდევ ერთხელ გააკვირვა სპეციალისტები: ისე ითამაშა, დაღლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა, თუმცა, როგორც ზემოთაც ვთქვით, პირველ ტაიმში მისი მონდომება გოლით მაინც ვერ დაგვირგვინდა (თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით ენდი გრეის მიერ თამაშგარე მდგომარეობიდან ლამაზად გატანილ ბურთს). ინგლისელები ცოტა არ იყოს ერთფეროვნად უტევდნენ მეტოქის კარს, „რაპიდი“ კი თავს მთელი გუნდით იცავდა. შესვენებამდე განსაკუთრებით ლამაზი იყო „ევერტონის“ შოტლანდიური წყვილის — შარპისა და გრეის მიერ გათამაშებული კომბინაცია, რომელსაც, მართალია, გოლი არ მოჰყოლია, მაგრამ მაყურებლის მოწონება კი დაიმსახურა.

სამაგიეროდ მეორე ტაიმში, 58-ე წუთზე, გრეიმ (ერთმა ჟურნალისტმა მას ბრიტანეთის ფეხბურთის ლომი უწოდა) ისევ შარპისგან მიიღო გადაცემა და ანგარიში გახსნა. სხვათა შორის, გრეი სათასო მატჩების „სპეციალისტად“ ითვლება: შარშან ინგლისის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში სწორედ მან გაიტანა გადამწყვეტი გოლი და ევროპის ტურნირის საგზური მოუტანა თავის გუნდს.

ლივერპულის „ევერტონისა“ და შოტლანდიის ნაკრების ვეტერანი ენდი გრეი.

73-ე წუთზე შიდიმ მარჯვენა ფლანგიდან მოაწოდა კუთხური, ავსტრიელთა მცველები შეცდნენ და მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ სტივენმა ახლო მანძილიდან დარტყმით მეორედ აიღო მათი კარი. შეხვედრის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, როცა საუცხოოდ ითამაშა „რაპიდის“ ვეტერანმა ჰანს კრანკლმა — ბურთიანად შეიჭრა საჯარიმოში, მოატყუა „ევერტონის“ მეკარე საუთჰოლი და ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

იტალიელმა არბიტრმა პაოლო კაზარინმა ცენტრისკენ მიუთითა. ინგლისელებმა განაახლეს თამაში და... გოლიც გაიტანეს. შარპმა ბურთი მიაწოდა შიდის, რომლის დარტყმაც უნაკლო გამოდგა — 3:1. კევინ შიდიმ მატჩის შემდეგ განაცხადა, კიდევ კარგი, დამატებითი დრო არ დაგვჭირდა — სამ დღეში ხომ კიდევ ერთი ფინალი გველისო.

„ევერტონმა“ პირველად გაიმარჯვა ევროპის ერთ-ერთ საკლუბო ტურნირში. მის კაპიტანს, კევინ რეტკლიფს საპატიო პრიზი გადასცა უეფა-ს პრეზიდენტმა ჟაკ ჟორჟმა. ეს გუნდი დიდი ბრიტანეთის მეშვიდე კლუბია, რომელმაც თასების თასი მოიგო. საინტერესოა ისიც, რომ ინგლისელთაგან ამ პრიზს უკანასკნელად ლონდონის „ჩელსი“ ფლობდა (1971 წელს).

გთავაზობთ ფინალური მატჩის მონაწილე გუნდების შემადგენლობებს:

„ევერტონი“: საუთჰოლი, სტივენსი, ვან დენ ჰოუვი, რეტკლიფი, მაუნტფილდი, რიდი, სტივენი, შარპი, გრეი, ბრეისუელი, შიდი.

„რაპიდი“: კონსელი, ლაინერი, გარგერი, ბრაუნედერი, ვებერი, კინასტი, კრანჩარი, ჰრსტიჩი, კრანკლი, ვაინჰოფერი (პანენკა, 68), პაკულტი (გროსი, 58).

თამაშს 40 ათასი მაყურებელი დაესწრო.

დავით კაკაბაძე.

ეკრანსა და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 18 მაისი. სტადიონი ყველასათვის — **14.40** (2); საერთაშორისო შეჯიბრება საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში— **16.45** (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — **19.00** (მატჩის პირველი ნახევარი, 2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — **20.00** (მატჩის მეორე ნახევარი, 1); საერთაშორისო შეჯიბრება სასტენდო სროლაში — „მოსკოვის დიდი პრიზი“ — **21.35** (2); მშვიდობის ველორბოლა — **24.20** (1).

საქართველოს რადიო. 18 მაისი. სპორტის მოყვარულთათვის — **18.30** (რადიოსადგური „შთაწმინდა“).

რედაქტორი ა. გოგელია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58
„მართვე“ — 93-97-27, „შერკინი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი 60435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხიმშიაშვილის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06055